ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ 02-02/25

21 02 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/25

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობით სტუდენტების გადაყვანის თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის" მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის მე-4 პუნქტის, VI' და VII თავების; ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებრექტორის 2014 წლის 16 იანვრის №02-02/04 ბრძანების; ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების გიორგი ჩოჩიშვილისა (№1/209. 11.02.2014) და ლევან კიკილაშვილის (№1/145. 08.02.2014; №1/221,12.02.2014) განცხადებების, შესაბამისი სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების თანხმობებისა და კრედიტების აღიარების თაობაზე დასკვნების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაყვანილ იქნენ 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შესაბამის სკოლებში (ფაკულტეტებზე) საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის მსურველი შემდეგი სტუდენტები:

1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.1.1. *გიორგი ჩოჩიშვილი* - სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლის (ფაკულტეტის) საგანმანათლებლო პროგრამა ,,სოციალური მუშაობის" II სემესტრის სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამა ,,ისტორიაზე", 25 კრედიტის აღიარებით, II სემესტრის სტუდენტად დარეგისტრირების უფლებით;

1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.2.1. *ლევან კიკილაშვილი* - ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) საგანმანათლებლო პროგრამა ,,გამოყენებითი ეკოლოგიის" II სემესტრის სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამა ,,მენეჯმენტზე", 20 კრედიტის აღიარებით, II სემესტრის სტუდენტად დარეგისტრირების უფლებით;

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ცვლილება აისახოს 1 (ერთი) დღის ვადაში;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება ძალაშია 2014 წლის 24 თებერვლიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე